



DOI: <https://doi.org/10.59172/2667-9876/2023-2//32-44>

ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად მიჩნევის სტატუსისა და

ხათუნა ბურკაძე

პროფესორი, სადოქტორო პროგრამის –
„ციფრული მმართველობა და ხელოვნური
ინტელექტი საჯარო სექტორში“ ხელმძღვანელი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

რეზიუმე. 21-ე საუკუნეში, ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად, დიდი მოცულობის მონაცემები დაგროვდა, შეიქმნა სათანადო ალგორითმები და თითქმის ყველა საკვანძო მიმართულებით ციფრული მიღწევების დანერგვა ხდება. აღნიშნულმა გამოცდილებამ ცხადყო ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე რეალობაში. როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში, ავტომატიზებული მიდგომების გამოყენებით, შესაძლებელია მთელ რიგი მიზნებისა და ამოცანების განხორციელება დისტანციურად, მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოდან. ციფრულ სამყაროში კონკრეტული საზღვრების გარეშე ფუნქციონირება კიდევ უფრო გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებს ციფრული გარდაქმნის პროცესს და საგრძნობლად ზრდის შესაძლებლობათა მასშტაბს. ციფრულ რეალობასთან ადაპტაციისათვის ეს მოცემულობა მოითხოვს გარკვეული ტრადიციული მიდგომების შეცვლას, მათ შორის იურისპრუდენციის მიმართულებითაც. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე, საჭიროა ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირება. თუმცა, ამავდროულად, ახალი ნორმები უნდა წარმოადგენდნენ ციფრული რეგულაციის, ინოვაციური მიდგომების ხელშემწყობ საშუალებებს. ამ კონტექსტში აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. შესაბამისად, საერთაშორისო ციფრული წესრიგის განვითარების კვალდაკვალ, სტატია მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიული, ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს კვლევას. ეს ხელს შეუწყობს იმის დადგენას, თუ რამდენად შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტისათვის სამართლის სუბიექტის სტატუსის მინიჭება.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული ტექნოლოგიები

შესავალი

როგორც თომას ჰენდრიკ ილვესი, ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი აღნიშნავს: „ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ნაწილი ციფრულ ტრანსფორმაციასთანაა დაკავშირებული. შეგიძლია შეიძინო მანქანა, დაიქირავო სახლი, იპოვო ექიმი და შეუკვეთო სხვადასხვა ნივთი მაღაზიას ეკრანზე რამდენიმე მოქმედების განხორციელებით“¹. ამდენად, ციფრული გარდაქმნის ყოველდღიურობა მოითხოვს ტექნოლოგიების არსის უკეთ გაგებას. ამასთან, შესაძლებლობების სათანადოდ გამოყენებისთვის და ამ პროცესის თანმდევი გამოწვევების დაძლევისათვის იზრდება შესაბამისი სტანდარტების შემუშავების მნიშვნელობა.

ამ თვალსაზრისით აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის ცნების განსაზღვრა. ისტორიულ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ 1950 წელს ალან ტურინგმა დაიწყო ხელოვნური ინტელექტის იდეის განვითარება. „ტურინგის ტესტი“ ორიენტირებული იყო კომპიუტერის მეშვეობით ამოცანების ისე განხორციელებაზე, როგორც ეს ადამიანების შემთხვევაში ავტონომიურად ხდება². 1956 წელს მეცნიერმა ჯონ მაკარტიმ ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ გამოიყენა. მისი თვალთახედვით, ეს გულისხმობდა ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც შეძლებდა დამოუკიდებლად აზროვნებასა და მოქმედებას. ის ხელოვნურ ინტელექტს განმარტავდა როგორც კომპიუტერს, პროგრამას, რომელსაც ექნებოდა ინტელექტუალური შესაძლებლობები იმის შესასრულებლად, რასაც ადამიანი აკეთებს³.

„ბრიტანული ენციკლოპედიის“ თანახმად, ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ციფრული კომპიუტერის ან კომპიუტერის მიერ კონტროლირებადი რობოტის შესაძლებლობას, შეასრულოს დავალებები, რომლებსაც ზოგადად გონიერი არსებები აკეთებენ⁴. ხელოვნური ინტელექტი მოიცავს სისტემებს, რომლებიც ავლენენ გონივრულ ქცევას გარემოს ანალიზისა და შესაბამისი მოქმედების განხორციელების შედეგად. მათ აქვთ ავტონომიურობის გარკვეული ხარისხი სპეციფიკური მიზნების მისაღწევად. ციფრულ ერაში ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის ტექნოლოგიას⁵.

1. Toomas Ilves, *Unlocking Digital Governance*, German Marshall Fund of the United States, (2020), p.10.

2. Darrell M. West and John R. Allen, *Turning Point – WHAT IS AI?* Brookings Institution Press, (2020), p.2.

3. Id.

4. The Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/technology/artificial-intelligence> (Accessed June 20, 2023).

5. *Artificial Intelligence for Europe*, European Commission, Brussels, (2018), p. 1.

ხელოვნური ინტელექტის განმარტება მიანიშნებს იმაზე, რომ მისი დანერგვა შესაძლებელია თითქმის ყველა სფეროში (მაგალითად, ჯანდაცვა, განათლება, იუსტიციის სისტემა, აგრარული, ფინანსური სექტორი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა). მას შეუძლია მონაცემთა დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივებას, დროულობას ხელი შეუწყოს. ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი როგორც სტრატეგიულ, ასევე სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, რათა ტექნოლოგიური მიღწევები სწორად დავნერგოთ და, ამავდროულად, არ მოხდეს მათი არაკეთილსინდისიერად გამოყენება. თუ სახელმწიფო ხელოვნური ინტელექტის მიმართ შესაბამისი სტანდარტების შემუშავების პროცესში არ ჩაერთვება, ჩამორჩება ციფრული ტრანსფორმაციის გარდაუვალ პროცესს. მით უფრო, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ციფრული მმართველობის განვითარების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

სახელმწიფოების მიერ ხელოვნური ინტელექტის შესახებ

შემუშავებული სტრატეგიული ჩარჩო

არაერთმა სახელმწიფომ განავითარა და მიიღო ხელოვნური ინტელექტის სტრატეგია, რომელთა მეშვეობით ქვეყნები აყალიბებენ საკუთარ კონცეპტუალურ ხედვას ხელოვნური ინტელექტის სისტემებთან მიმართებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებს შორის როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო მიდგომებისა და სტანდარტების შემუშავება.

ავსტრიის სტრატეგია ხელს უწყობს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიან გამოყენებას საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და ეფუძნება ევროპის ფუნდამენტურ ღირებულებებს (ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას, პირადი სივრცის პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობას). ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრის მიზნით, დოკუმენტი ორიენტირებულია სოციალური დიალოგის განვითარებაზე. ასევე, ის ეხება კვლევების განხორციელებას ინოვაციური მიდგომების დანერგვისათვის. ამასთან, სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც თანხვედრაში იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან⁶.

საფრანგეთის სტრატეგია ეხება ეკოსისტემის განვითარებას და ხელოვნური ინტელექტის დანერგვისათვის მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფას. ასევე, ის მიუთითებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პროცესის დაჩქარებაზე ეკონომიკასა და საჯარო ადმინისტრირების სფეროებში. დოკუმენტი ყუ-

6. AI Mission Austria 2030, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Fai.po.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24233>, (Accessed June 10, 2023).

რადღებას ამახვილებს ეროვნულ დონეზე სანდო ხელოვნური ინტელექტის სისტემის განვითარებაზე და ამ მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე⁷.

ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ხედვის თანახმად, მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით ტექნოლოგიური მიღწევების სტიმულირება, ტექნიკური სტანდარტების განვითარება, დღევანდელი და მომავალი თაობის სპეციალისტებისათვის ტრენინგების ორგანიზება მათი უნარების განსამტკიცებლად. ასევე, აუცილებელია ნდობის არსებობა ხელოვნური ინტელექტისადმი და მისი გამოყენებისას დაცული უნდა იყოს ფუნდამენტური უფლებები, ღირებულებები⁸.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტრატეგია ეხება ხელოვნური ინტელექტის სფეროში ინვესტიციების გაზრდას, კვლევების ნაწილში შესაბამისი ცენტრების შექმნას, მათი დაფინანსების სქემებს, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებას საზოგადოებაში ეთიკური, სამართლებრივი, კულტურული და ინსტიტუციური სტანდარტების გათვალისწინებით⁹. ლიეტუვის სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების განვითარებაზე, ხელოვნური ინტელექტის სისტემების ინტეგრაციაზე ეკონომიკის სექტორში, შესაბამისი უნარების, კომპეტენციის განმტკიცებაზე, კვლევების განხორციელებასა და მონაცემთა დაცვის ეფექტიან მიდგომებზე¹⁰.

სინგაპურის სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის შესახებ განსაზღვრავს სამ მიზანს: 1) პრიორიტეტული სფეროებისა და რესურსების იდენტიფიცირებას ეროვნულ დონეზე; 2) მთავრობას, კომპანიებსა და მკვლევრებს შორის თანამშრომლობის წესების დადგენას ხელოვნური ინტელექტიდან პოზიტიური შედეგების მისაღებად; 3) ცვლილებებისა და რისკების სათანადო მართვას, როდესაც ხელოვნური ინტელექტი არაერთ სფეროში აღწევს¹¹. სინგაპურის სტრატეგიის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარება ადამიანის საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს და მოქალაქეებმა, ბიზნესმა სარგებელი უნდა მიიღოს. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს იმ აქტივობების განხორციელებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ ციფრული მიღწევების შესახებ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებას¹².

7. National Strategy on AI, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faiipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-25374>, (Accessed June 10, 2023).

8. Executive Order on Maintaining American Leadership in AI, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faiipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24277>, (Accessed June 10, 2023).

9. National AI Strategy, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faiipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24114>, (Accessed June 10, 2023).

10. AI Strategy, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faiipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24220>, (Accessed June 10, 2023).

11. National Artificial Intelligence Strategy, Singapore, (2019), p.13.

12. Id., p. 18.

სინგაპურის სტრატეგია მოიცავს 5 მნიშვნელოვან ეროვნულ პროექტს, რომლებიც ამ მიმართულებებით ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებას ეხება. კერძოდ, მისი დანერგვა შესაძლებელია ტვირთების გადაზიდვის პროცესის დაგეგმვისას, ეფექტიანი მუნიციპალური სერვისების უზრუნველყოფისას, ქრონიკული დაავადებების პრევენციისას, მათი მართვისას, ადაპტირებული სწავლების განვითარებისას და სასაზღვრო კონტროლის განხორციელებისას¹³.

საერთაშორისო მრავალმხრივი ფორმატის განვითარების თვალსაზრისით, 2020 წლის 15 ივნისს კანადამ და საფრანგეთმა ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით გლობალური თანამშრომლობის ინიციატივას ჩაუყარეს საფუძველი. აღნიშნული ფორმატი ინიციატორებთან ერთად აერთიანებს ავსტრალიას, გერმანიას, ინდოეთს, იტალიას, იაპონიას, მექსიკას, ახალ ზელანდიას, სამხრეთ კორეას, სინგაპურს, სლოვენიას, გაერთიანებულ სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს¹⁴. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის განვითარებას ადამიანის უფლებების დაცვით, ჩართულობით, მრავალფეროვნებით, ინოვაციებით და ეკონომიკური ზრდით.

სტრატეგიათა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოები განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების საკვანძო სფეროებში. ამასთანავე, ქვეყნები ავითარებენ იმ მიდგომებს, რომელთა დაცვა აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებისა და გამოყენებისას, რაც ქმნის მნიშვნელოვან წინაპირობებს ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებისათვის.

ხელოვნური ინტელექტის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები

ციფრულმა რევოლუციამ არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება განაპირობა. იაპონიის მიერ შექმნილ „ჩეთბოტ“ მირაის ტოკიოში ოფიციალურად ცხოვრების უფლება მისცეს¹⁵. „ჰანსონ რობოტიკის“ ადამიანის მსგავს რობოტ სოფიას კი საუდის არაბეთმა მოქალაქეობა მიანიჭა¹⁶. აღნიშნული გადაწყვეტილებების ფონზე, სამართლებრივი თვალსაზრისით, განსაზღვრული არ არის, თუ როგორ შეიძლება რობოტი აღქმული იყოს მოქალაქედ. გაურკვეველია, რამდენად შეიძლება მას ჰქონდეს როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური კავშირი კონკრეტულ ქვეყანასთან. მით უფრო, როდესაც არ არის დადგენილი

13. Id., p. 8.

14. Launch of the Global Partnership on Artificial Intelligence (15 Jun. 2020), <https://www.diplomatie.gouv.fr/en/foreign-policy/digital-diplomacy/news/article/launch-of-the-global-partnership-on-artificial-intelligence-by-15-founding>, (Accessed June 10, 2023).

15. AI bot granted residence in Tokyo, (2017), <https://dig.watch/updates/ai-bot-granted-residence-tokyo>, (Accessed June 7, 2023).

16. Alistair Walsh, Saudi Arabia grants robot citizenship, (2017), <https://www.dw.com/en/saudi-arabia-grants-citizenship-to-robot-sophia/a-41150856>, (Accessed June 7, 2023).

კონკრეტული სამართლებრივი კრიტერიუმები ხელოვნური ინტელექტისათვის სამართლის სუბიექტის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობასთან მიმართებით. ამასთანავე, აუცილებელია ეთიკური ჩარჩოს განსაზღვრა.

ამ კონტექსტში 2019 წელს ევროკომისიის მიერ შექმნილმა დამოუკიდებელმა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გზამკვლევი ხელოვნური ინტელექტის ეთიკური ნორმებისათვის. გზამკვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის სანდობას ხელი შეუწყოს, რისთვისაც ხელოვნური ინტელექტი უნდა აერთიანებდეს შემდეგ კომპონენტებს: 1) ის უნდა იყოს კანონიერი ანუ შეესაბამებოდეს სამართლის ნორმებს, რეგულაციებს; 2) ხელოვნური ინტელექტი უნდა ფუნქციონირებდეს ეთიკის პრინციპების თანახმად; 3) როგორც ტექნიკური, ასევე სოციალური პერსპექტივის თვალსაზრისით, კეთილშობილურ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ გამოიწვიონ ზიანი, მათ შორის უნებლიეც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პრაქტიკაში სამივე კომპონენტის დანერგვა მსგავსი რისკების თავიდან ასაცილებლად¹⁷. ხელოვნური ინტელექტის ეთიკის პრინციპებთან შესაბამისობა გულისხმობს მის განვითარებასა და დანერგვას ადამიანის ავტონომიურობის პატივისცემით, ზიანის პრევენციით, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების დაცვითა და განჭვრეტადობით¹⁸.

გზამკვლევი არ ეხება კანონთან შესაბამისობის საკითხებს, რადგან თავად სახელმწიფოებმა, ეროვნულ დონეზე, უნდა შეიმუშაონ და მიიღონ შესაბამისი სამართლებრივი ნორმები. გზამკვლევი სანდო ხელოვნური ინტელექტის განვითარებისა და დანერგვისათვის შემდეგ კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს: ადამიანის ზედამხედველობის ფარგლებში ფუნქციონირებადობა; ტექნიკურად მდგრადობა და უსაფრთხოება; პირადი სივრცის ხელშეუხებლობა და მონაცემთა მართვა; გამჭვირვალობა; მრავალფეროვნება, არადისკრიმინაციულობა, სამართლიანობა; გარემოსა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებულობა; ანგარიშვალდებულება¹⁹.

სამართლებრივი თვალსაზრისით, 2021 წელს ევროკომისიამ ხელოვნური ინტელექტის აქტი შეიმუშავა. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარჩოს ეროვნულ დონეზე შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გასავითარებლად და იმ პრინციპების პრაქტიკაში დასანერგად, რომლებიც ხელს შეუწყობენ სავალდებულო ტიპის მექანიზმების შექმნას სანდო ხელოვნური ინტელექტის კონცეფციის შესაქმნელად.

ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული აქტი მოიცავს 4 მიზანს: 1) ევროკავშირის ბაზარზე უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებას, რომ-

17. Ethics Guidelines for Trustworthy AI, High-Level Expert Group on Artificial Intelligence, European Commission, (2019), p. 2.

18. Id.

19. Id.



ლებიც პატივს სცემენ მოქმედ ადამიანის უფლებათა სამართალს, ევროკავშირის ღირებულებებს; 2) სამართლებრივი სიციხადის უზრუნველყოფას ხელოვნური ინტელექტის სფეროში ინვესტიციებისა და ინოვაციების ხელშესაწყობად; 3) ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებისა და უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიმართ; 4) ერთიანი ბაზრის განვითარებას კანონიერი, უსაფრთხო, სანდო ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებისათვის და ბაზრის ფრაგმენტაციის თავიდან აცილებას²⁰.

ხელოვნური ინტელექტის სისტემებმა, მათი მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლებელია გავლენა იქონიონ ფუნდამენტურ უფლებებზე. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის აქტი ითვალისწინებს მთელი რიგი უფლებების, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვას, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას, თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას, ყველა მოწყვლადი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას²¹.

რეგულაცია რისკზე დაფუძნებულ მიდგომას აყალიბებს. კერძოდ, ამ კრიტერიუმის მიხედვით, გამოყოფს ხელოვნური ინტელექტის სამ კატეგორიას: მიუღებელი რისკის შემცველ, მაღალი რისკის მქონე ან დაბალი, მინიმალური საფრთხის შემცველ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს. ხელოვნური ინტელექტის აკრძალვის პრაქტიკა მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხორციელდება მანიპულაციური მოქმედებები ინდივიდის წინააღმდეგ, ან ეხება მოწყვლად ჯგუფებს და ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ, ფსიქიკურ მდგომარეობას²².

რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის სამართალსუბიექტუნარიანობას, თუ იურიდიული პირი, კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მოქმედებს როგორც სამართლის სუბიექტი, შესაბამისი სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების განვითარების ფონზე, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იქცეს თანამედროვე, ციფრულ იურიდიულ პირად ელექტრონული პირის კომპონენტების გათვალისწინებით. ეროვნული კანონის საფუძველზე სახელმწიფო მას სუბიექტის სტატუსს მიანიჭებს, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, რათა დაცული იყოს ფიზიკური პირის კანონიერი ინტერესები, განსაკუთრებით შრომითი უფლებების ნაწილში და, ამავდროულად, განსაზღვრული უნდა იყოს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობის ფარგლები მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის შესაბამისად.

სამართლებრივი გადაწყვეტის გზების ანალიზისას, რომლებიც ეხება ხელოვნური ინტელექტის მოქმედების საფუძველზე მიღებულ შედეგებსა და მისთვის ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, აუცილ-

20. Artificial Intelligence Act, (2021), Regulation of the European Parliament and of the Council, p. 3.

21. Id., p.11.

22. Id., pp.12-13.

ებელია ხელოვნური ინტელექტის განმარტების მხედველობაში მიღება. კერძოდ, ამ თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის სისტემა გულისხმობს მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობას, ამ მონაცემებიდან სწავლას და გამოცდილების გამოყენებას სპეციალური ამოცანების განსახორციელებლად. ზიანი შეიძლება იყოს გამოწვეული ხელოვნური ინტელექტით, რომელიც მდებარეობს კომპიუტერში, მანქანაში ან მოთავსებულია რობოტში²³.

რაც შეეხება მონაცემთა დამუშავების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინების საკითხს, 2018 წლის 25 მაისს ძალაში შესული ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ადგენს მთელ რიგ სტანდარტებს ციფრულ რეალობაში მონაცემების დაცვისათვის და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს პრაქტიკაში შესაბამისი მექანიზმების დანერგვის გზებს. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ვრცელდება ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე, როდესაც ისინი იყენებენ პერსონალურ მონაცემებს ან ეს მონაცემები წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს. აღნიშნული დოკუმენტით განმტკიცებული ისეთი პრინციპები, რომლებიც ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას ან მიზნის შეზღუდვას რელევანტურია ხელოვნური ინტელექტის სისტემებისათვის. მით უფრო, როდესაც არსებობს რისკი მესამე მხარის მიერ მონაცემების ბოროტად გამოყენებისა²⁴.

საბოლოო ჯამში, ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნამ ხელოვნური ინტელექტის დანერგვის პროპორციული და დაბალანსებული მიდგომის განვითარება უნდა განაპირობოს. ერთი მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მმართველობის პროცესის გამარტივების მიზნით სახელმწიფოები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე. ამავდროულად, აუცილებელია მაღალი რისკის შემცველი ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენების თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების დანერგვა და სათანადო მეთოდოლოგიის შემუშავება. აღნიშნული საფრთხის შემცველ მექანიზმს შეუძლია არსებითი ზიანი მიაყენოს მოქალაქის, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს და ადამიანის უფლებები ხელყოს. შესაბამისად, პროცესის თანმდევი გამოწვევების დაძლევა ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების განსაზღვრას, განხორციელებასა და მონიტორინგს მოითხოვს, რაც ხელს შეუწყობს როგორც საჯარო, ასევე კერძო ინტერესების დაცვას.

23. *Karolina Ziemianin*, Civil Legal Personality of Artificial Intelligence. Future or Utopia? *Internet Policy Review, Journal of Internet Regulation*, Volume 10, Issue 2, (2021), p. 4.

24. *Thomas Gremsl, Elisabeth Hödl*, Emotional AI: Legal and Ethical Challenges, *Information Policy* 27 (2022), IOS Press, pp.165-166.



ხელოვნური ინტელექტის სისტემის განვითარების

დარგობრივი მიდგომა

სტრატეგიული, ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის საფუძველზე კიდევ უფრო მკაფიოდ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის სისტემის დარგობრივი მიდგომის განვითარება, რაც ნიშნავს მისი როლისა და მნიშვნელობის ნათლად წარმოჩენას ყველა საკვანძო მიმართულებით. ეს პროცესი კი დააჩქარებს ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის საკითხს.

ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელია მოქალაქეებისათვის საჯარო სერვისების მიწოდება გამარტივებული ფორმით, დროულად, მცირე დანახარჯებითა და დისტანციურად. საჯარო მმართველობის განხორციელებისას ავტომატიზებული მიდგომის დანერგვა ინდივიდთან კომუნიკაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს, მათ შორის კრიზისის დროსაც. ჯანდაცვის სისტემაში მას იყენებენ სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, დაავადებათა პრევენციისა და მათი მართვის პროცესში.

ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელოვნური ინტელექტის სისტემის განვითარებით ხორციელდება როგორც ადმინისტრაციული ამოცანები, ასევე სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული მიზნები მიიღწევა. მეტიც, იქმნება AI ლექტორი, რომელსაც, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის გამოცდილების საფუძველზე რამდენიმე ფუნქციონალური მახასიათებელი აქვს: ექსპერიმენტებზე დაფუძნებული სწავლება; მაღალი დარგობრივი ექსპერტიზა; უწყვეტი ხელმისაწვდომობა; ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ტემპით სწავლა; გაერთიანებული ციფრული სასწავლო სივრცე; პორტფოლიოსთვის გამოსადეგ პროექტებზე მუშაობის შესაძლებლობა.²⁵ საწყის ეტაპზე AI ლექტორი სხვადასხვა სასწავლო მოდულს წარმართავს, ესენია: კომპიუტერული ხედვა (Computer Vision); მანქანური სწავლების პრინციპები (Principles of Machine Learning (ML)); ღრმა დასწავლა (Deep Learning (DL)); ბუნებრივი ენების დამუშავება (Natural Language Processing (NLP))²⁶. ხელოვნური ინტელექტი წარმატებით ინერგება აგრარულ და ფინანსურ სფეროებში პროცესების დროულად და ინოვაციური მიდგომებით მართვისათვის.

ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესშიც. კერძოდ, ესტონეთში AI მოსამართლეს შეუძლია განიხილოს მცირე მასშტაბის დავები 7 000 ევროს ფარგლებში. მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება, აპელაციის წესით, ადამიან მოსამართლესთან დასაშვებია, თუ მხარე არ ეთანხმე-

25. AI ლექტორი – ინოვაციური პროდუქტი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისგან, (2023), <https://btu.edu.ge/course/machine-learning/>, (Accessed June 17, 2023).

26. Id.

ბა ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას²⁷. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტი განიხილება როგორც მოსამართლის დამხმარე ინსტრუმენტი გადაწყვეტილებების მიღებისას, ეს არ გამორიცხავს შემდეგი ათწლეულის პერიოდში მოსამართლის ხელოვნური ინტელექტით ჩანაცვლებას გარკვეული ფორმით²⁸ და შეზღუდვების დადგენით.

ასევე, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და პანდემიის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე ცხადყო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების პროცესში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის საჭიროება.

წარმდგენ და ადგილსამყოფელ სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის დისტანციურად საგარეო პოლიტიკური მიზნების, ამოცანების განხორციელებისათვის ავტომატიზებული მიდგომების დანერგვა აუცილებელია. სწორედ ამ პროცესში იკვეთება ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ციფრული თანამშრომლის კონცეფციის განვითარებას გულისხმობს და უზრუნველყოფს უწყვეტ კონტაქტს ადგილსამყოფელ ქვეყანასთან დროის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. ამასთანავე, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, მიუხედავად საზღვრებისა, შესაძლებელია ვირტუალურად კომუნიკაცია სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან და ქვეყნის ისტორიის, კულტურის, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის მუდმივად მიწოდება. ეს ხელს უწყობს ციფრულ სივრცეში საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის ფართო აუდიტორიისათვის უკეთ გაცნობასა და სახელმწიფოს სათანადოდ წარმოჩენას მცირე დანახარჯებით.

რაც შეეხება საკონსულო ურთიერთობებს, ამ მიმართულებით შესაძლოა „ჩეთ-ბოტ კონსულის“ მექანიზმის დანერგვა. კერძოდ, საკონსულო ურთიერთობების სპეციფიკის გათვალისწინებით, ონლაინდიალოგის ფორმატში, შეიძლება ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით უწყვეტად საკონსულო მომსახურების გაწევა და საკონსულო საქმიანობის განხორციელებისას ავტომატიზებული მიდგომების დანერგვა.

უსაფრთხოების სისტემის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევებისა და საფრთხეების ფონზე, დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავება დროულად უნდა განხორციელდეს, რაც აუცილებელი წინაპირობაა დესტრუქციული მოქმედებების თავიდან ასაცილებლად. ხშირად უსაფრთხოების სფეროს ანალიტიკოსებს უჭირთ გადაწყვეტილებების მიმღებებს სწრაფად მიაწოდონ ინფორმაცია მოვლენათა შესაძლო სცენარებით განვითარების თაობაზე. შესაბამისად, ხელოვნური ინტე-

27. *Tara Vasdani*, From Estonian AI judges to robot mediators in Canada, U.K., *The Lawyer's Daily*, part of LexisNexis Canada Inc., <https://www.lexisnexis.ca/en-ca/ihc/2019-06/from-estonian-ai-judges-to-robot-mediators-in-canada-uk>, page, (Accessed June 17, 2023).

28. *Tania Sourdin*, What if Judges Were Replaced by AI? *Turkish Policy Quarterly*, (2022), p. 57.



ლექტის დანერგვა უსაფრთხოების სფეროში ხელს შეუწყობს ავტომატიზებული მიდგომის გამოყენებით, მცირე დროში, ინფორმაციის დამუშავებას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელია საფრთხეების მახასიათებლების დროული იდენტიფიცირება, გამოვლენა და პროაქტიულად მათი დაძლევის პრევენციული, შემაკავებელი მექანიზმების, ასევე გამოწვევებზე მყისიერი რეაგირების ინსტრუმენტების განსაზღვრა.

დასკვნა

ციფრული ტრანსფორმაციის მასშტაბებისა და შესაძლებლობების ზრდის შედეგად, ხელოვნური ინტელექტის დანერგვის აუცილებლობა ყველა მნიშვნელოვან დარგში გამოიკვეთა. ეს კი მომავალში ხელს შეუწყობს იმ საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებასა და მიღებას, რომლებიც შესაძლოა გახდეს საფუძველი ხელოვნური ინტელექტის სამართალსუბიექტურარიანობის მკაფიო განსაზღვრის. საჯარო და კერძო სფეროებში პროცესების დროულად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით ხელოვნური ინტელექტი შეიძლება ციფრულ თანამშრომლად, დამხმარედ მივიჩნიოთ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სამართლის ახალი სუბიექტის აღმოცენება ჰიბრიდული ფორმით – ფიზიკური და იურიდიული პირის სამართლებრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. ეს, ამავდროულად, აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის თანმდევი გამოწვევების პრევენციისათვის და ზიანის დადგომის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტების დადგენისათვის. ამდენად, ეს პროცესი მნიშვნელოვანი წინაპირობაა პასუხისმგებლიანი და სანდო ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკაში დასაწერად.

ამასთანავე, AI-ის, როგორც ციფრული თანამშრომლის კონცეფციის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს. ის უნდა წარმოადგენდეს დასაქმებულის მიერ თავისი ფუნქციების განხორციელების ხელშემწყობ მექანიზმს და არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ადამიანის კანონიერ ინტერესებთან, მათ შორის, შრომითი უფლებების ნაწილში.

დაბოლოს, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ხედვების შემუშავება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ AI-ის დანერგვის კონტექსტში, არამედ ქვეყნის ციფრული პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით. მით უფრო, რომ ხელოვნური ინტელექტი ციფრული ტრანსფორმაციისა და საჯარო მმართველობის ტრადიციული მიდგომების შეცვლის კონტექსტში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ციფრული რეალობის გათვალისწინებით საქართველომ ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით უნდა შეიმუშაოს როგორც სტრატეგიული, ასევე ეთიკური და სამართლებრივი ტიპის დოკუმენტები. ეს აუცილებელია სახელმწიფოს ციფრული პოლიტიკის დღის წესრიგის განსასაზღვრად და თვისებრივად ახალი პროექტების განსახორციელებლად, რამაც უნდა განაპირობოს გაუმჯობ-

ბესებული წვდომა ყველა საკვანძო მიმართულებაზე, მათ შორის ჯანდაცვაზე, განათლებაზე, იუსტიციის სისტემაზე, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ უწყებებზე. ინოვაციური მიდგომების მასშტაბების გაზრდა საჯარო მმართველობის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაამარტივებს კომუნიკაციას სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის, რაც პოზიტიურად აისახება ქვეყნის განვითარების პროცესზე, ხოლო საერთაშორისო არენაზე საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, ჩაერთოს ახალ მრავალმხრივ ფორმატებში, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით შექმნილ გლობალური თანამშრომლობის პლატფორმაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. AI ლექტორი – ინოვაციური პროდუქტი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისგან, (2023), <https://btu.edu.ge/course/machine-learning/>, (Accessed June 17, 2023).
2. AI bot granted residence in Tokyo, (2017), <https://dig.watch/updates/ai-bot-granted-residence-tokyo>, (Accessed June 7, 2023).
3. AI Mission Austria 2030, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24233>, (Accessed June 10, 2023).
4. AI Strategy, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24220>, (Accessed June 10, 2023).
5. Alistair Walsh, Saudi Arabia grants robot citizenship, (2017), <https://www.dw.com/en/saudi-arabia-grants-citizenship-to-robot-sophia/a-41150856>, (Accessed June 7, 2023).
6. Artificial Intelligence Act, (2021), Regulation of the European Parliament and of the Council.
7. Artificial Intelligence for Europe, European Commission, Brussels, (2018).
8. Darrell M. West and John R. Allen, Turning Point – WHAT IS AI? Brookings Institution Press, (2020).
9. Executive Order on Maintaining American Leadership in AI, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24277>, (Accessed June 10, 2023).
10. Ethics Guidelines for Trustworthy AI, High-Level Expert Group on Artificial Intelligence, European Commission, (2019).
11. Karolina Ziemianin, Civil Legal Personality of Artificial Intelligence. Future or Utopia? Internet Policy Review, Journal of Internet Regulation, Volume 10, Issue 2, (2021).
12. Launch of the Global Partnership on Artificial Intelligence (15 Jun. 2020), <https://www.diplomatie.gouv.fr/en/french-foreign-policy/digital-diplomacy/news/article/launch-of-the-global-partnership-on-artificial-intelligence-by-15-founding>, (Accessed June 10, 2023).
13. National Artificial Intelligence Strategy, Singapore, (2019).
14. National AI Strategy, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-24114>, (Accessed June 10, 2023).



15. National Strategy on AI, OECD, <https://oecd.ai/en/dashboards/policy-initiatives/http:%2F%2Faiipo.oecd.org%2F2021-data-policyInitiatives-25374>, (Accessed June 10, 2023).
16. Tania Sourdin, What if Judges Were Replaced by AI? Turkish Policy Quarterly, (2022).
17. Tara Vasdani, From Estonian AI judges to robot mediators in Canada, U.K., The Lawyer's Daily, part of LexisNexis Canada Inc., <https://www.lexisnexis.ca/en-ca/ihc/2019-06/from-estonian-ai-judges-to-robot-mediators-in-canada-uk.page>, (Accessed June 17, 2023).
18. The Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/technology/artificial-intelligence> (Accessed June 20, 2023).
19. Thomas Gremsl, Elisabeth Hödl, Emotional AI: Legal and Ethical Challenges, Information Policy 27 (2022), IOS Press.
20. Toomas Ilves, Unlocking Digital Governance, German Marshall Fund of the United States, (2020).